2012-12-04 09:19:29

„მწვანე ალტერნატივა“ დარიალჰესის პროექტის შეცვლას სასამართლოს გზით ცდილობს

ჰესის მშენებელი კომპანია გარემოს დაცვის სტანდარტების დარღვევას უარყოფს

რადიო „კომერსანტი“ FM 95,5

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ დარიალჰესის პროექტის შეცვლის მოთხოვნით სასამართლოში ჩივის. ეს ერთ-ერთი ის პროექტია, რომელსაც ეროვნული ბიზნეს დაჯილდოების გამარჯვებული კომპანია “ფერი” აშენებს.

„ფერის“ აღმასრულებელი დირექტორი „კომერსანტთან“ ამტკიცებს, რომ ჰესის პროექტი გარემოს დაცვის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაშია. არასამთავრობო ორგანიზაციაში კი განმარტავენ, რომ ჰესის დღეს არსებული პროექტით ამოქმედების შემთხვევაში მდინარე თერგში წყლის დონე 10%-მდე დაეცემა, რაც ნიშნავს, რომ ადგილობრივ ფაუნას საფრთხეს შეუქმნის.

ორგანიზაციის განცხადებით, გამოსავალი ამ ვითარებიდან ჰესის პროექტის შეცვლაა. მათივე განმარტებით, იმავე ადგილზე შედარებით დაბალ სიმძლავრეზე მომუშავე ჰესის აშენება მდინარეში სასურველი წყლის რაოდენობის შენარჩუნების ფონზე

შესაძლებელია.

Tweet

6 comments Add a comment

Irakli Macharashvili · Top Commenter · Works at ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი Iliauni
როგორც ჩანს, "ქართულ ოცნებაში" აღარ ახსოვთ საკუთარი წინასაარჩევნო პროგრამა. იმედია, ეს ორი სიუჟეტი ჩვენსა და გარემოს დაცვის სამინისტროს შორის სასამართლოს წინ დარიალჰესის თაობაზე (ხვალ, 6 დეკემბერს არის), არ იქნება მოსამართლეების მიმართ აღძრული, როგორც ზეწოლა. წინა პროცესების დროსაც, სასამართლო სხდომის წინ, დარიალჰესს სტუმრობდა ხოლმე ხან სააკაშვილი, ხან მერაბიშვილი და ა.შ.
Reply · 2 · Like · Follow Post · December 5, 2012 at 3:03pm

კვირის ფრაზა

„მიმდინარე მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ საქართველო–ისრაელს შორის მხოლოდ გართულებებია მოსალოდნელი“

ქართულ-ებრაული ბიზნეს პალატის თავმჯდომარე იციკ მოშე